



2026 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის იანვარ-აპრილის  
შესრულების

**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2026**  
მაისი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 10,023.7 მლნ ლარი

66.2%  
6 თვის  
გეგმის

32.6%  
წლიური  
გეგმის

გადასახდელები - 9,488.7 მლნ ლარი

62.1%  
6 თვის  
გეგმის


30.7%  
წლიური  
გეგმის

ნაშთის ცვლილება  
535.0 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო  
922.4 მლნ ლარი

მთლიანი სალდო  
377.4 მლნ ლარი


## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები




- ჭანდაცვის სამინისტრო
- საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნე...
- განათლების სამინისტრო
- თავდაცვის სამინისტრო
- ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- სხვა დანარჩენი



## გადასახადების სტრუქტურა





## ხარჯების სტრუქტურა



# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,759.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარ-აპრილში მიღებული შემოსულობები 10,023.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 32.6%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,330.4 მლნ ლარით (15.3%-ით) აღემატება.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,881.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარ-აპრილში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 9,488.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 30.7%) შეადგენს, რაც 1,028.5 მლნ ლარით (12.2%-ით) მეტია წინა წლის 4 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა<sup>[1]</sup> განსაზღვრულია 15,132.0 მლნ ლარით, ხოლო 4 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 66.2%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 6 თვის გეგმის შესრულების მხრივ, შემოსავლები 65.6%-იანი მობილიზების დონით ხასიათდება, არაფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობები შედარებით მაღალი (შესაბამისად, 68.1%-იანი და 70.8%-იანი) მაჩვენებლებით გამოირჩევა, ფინანსური აქტივების კლებით შემოსულობები კი 43.1%-ს შეადგენს.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის გეგმა განსაზღვრულია 15,278.2 მლნ ლარის ოდენობით, 4 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 62.1%-ს შეადგენს. გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით - ხარჯები 6 თვის გეგმის 62.4%-ია, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებს 6 თვის გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებლები აქვს (შესაბამისად, 38.3% და 29.5%), ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და 82.0%-ს აღწევს.

[1] „საქართველოს 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 31 დეკემბრის N358 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის №30 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 4 თვეში, 922.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 377.4 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2022-2026 წლების 4 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2026 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,465.7 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-აპრილში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 535.0 მლნ ლარს გაუტოლდა და 2026 წლის 1-ელი მაისისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,000.7 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2022-2026 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აპრილის მარჯვენა მხარე

2026 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,218.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც მარტის მარჯვენა მხარეზე 346.4 მლნ ლარით ნაკლებია (ძირითადად, შემოსავლების, შემცირების გავლენით), ხოლო წინა წლის აპრილის მარჯვენა მხარეზე 176.6 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2026 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 2,250.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც მარტის მარჯვენა მხარეზე 45.0 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2025 წლის აპრილის მარჯვენა მხარეზე 184.2 მლნ ლარით აღემატება.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2024-2026 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




რაც შეეხება აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და განეული გადასახდელების კომპონენტებს:

შემოსავლების სახით 1,992.4 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 89.8%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 208.2 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარჯვენა მხარე, შესაბამისად, 4.5 მლნ ლარს და 13.7 მლნ ლარს უტოლდება.


შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ხარტები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც აპრილში მიღებული მთლიანი შემოსულობების 85.5% და შემოსავლების 95.2% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა, აპრილში, გადასახადებიდან 1,896.3 მლნ ლარი მიიღო, მარტის მაჩვენებელზე 170.2 მლნ ლარით ნაკლები, რაც ძირითადად, მოგების გადასახადის სახით, წინა თვეში, ბიუჯეტში 368.6 მლნ ლარით მეტი თანხის ჩარიცხვას უკავშირდება<sup>[2]</sup>. მარტის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია, აგრეთვე, დღგ (32.0 მლნ ლარით), აქციზი (74.7 მლნ ლარით, ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის შემცირების გავლენით) და იმპორტის გადასახადი (3.0 მლნ ლარით). დანარჩენი გადასახადები გაზრდილია: საშემოსავლო გადასახადი - 12.8 მლნ ლარით, ხოლო სხვა გადასახადი<sup>[3]</sup> - 295.4 მლნ ლარით.

ხარტების სახით (რომელიც გადასახადების ყველაზე დიდი კომპონენტია და მის 78.2%-ს შეადგენს), აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,760.7 მლნ ლარი გაიწია, წინა თვის მაჩვენებელზე 92.9 მლნ ლარით ნაკლები, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის ხარტებისა და სუბსიდიების მნიშვნელოვანი (შესაბამისად, 48.4 მლნ ლარით და 41.2 მლნ ლარით) კლების გავლენით. შემცირებულია, აგრეთვე, შრომის ანაზღაურებისა (7.6 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების ხარტები (27.7 მლნ ლარით). დანარჩენი სახის ხარტები მომატებულია: გრანტები გაზრდილია 19.5 მლნ ლარით, პროცენტი - 3.8 მლნ ლარით, ხოლო სხვა ხარტები - 8.6 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2026 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 231.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 145.5 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აპრილში მიღებული შემოსულობებისა (2,218.7 მლნ ლარი) და გაწეული გადასახადების (2,250.5 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) -31.7 მლნ ლარი შეადგინა.


[2] 31 მარტისთვის ხდება მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენა იმ პირთა მიერ, რომელთა საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი.

[3] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვანაგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2026 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 10,023.7 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 79.6%-ს და 18.8%-ს უტოლდება. შემოსავლები, ნომინალურ გამოხატულებაში, 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობებში შემცირებულია, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად შემოსულობებში, რაც 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, მიმდინარე წლის იანვარში 1,331.9 მლნ ლარით ვალდებულებების ზრდას უკავშირდება. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, მათი ჯამური წილი შემოსულობებში 1.6%-ს შეადგენს (2024-2025 წლების ანალოგიურ პერიოდში, შესაბამისად, 2.7%-ს და 3.1%-ს უტოლდება).

სახელმწიფო ბიუჯეტის 4 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლების სახით, 4 თვეში, 7,975.3 მლნ ლარია მიღებული, 6 თვის გეგმის 65.6% და წლიური გეგმის 31.9%, წინა წლის მაჩვენებელზე 528.7 მლნ ლარით (7.1%-ით) მეტი. რაც შეეხება 6 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, გადასახადები და გრანტები - კარგი მაჩვენებლებით, ხოლო სხვა შემოსავლები შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

იანვარ-აპრილში მიღებული გადასახადები 7,489.8 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 67.7%-ს და წლიური გეგმის 32.3%-ს შეადგენს. ცალკეული სახის გადასახადის მიხედვით, 6 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 61.5% - 73.6%-ის ფარგლებშია (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და მოგების გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 6 თვის გეგმა 30.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, ფაქტობრივად კი -56.1 მლნ ლარს შეადგენს.

2025 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 398.8 მლნ ლარით (5.6%-ით) გაზრდილია, რაც საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების (შესაბამისად, 12.9%-ით, 24.2%-ით და 9.0%-ით) მატებას უკავშირდება.

2025 წელთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 248.7 მლნ ლარით (11.8%-ით) ზრდასთან. დღგ-ის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში 2,719.8 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით 223.5 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 120.0 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან 103.6 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, აქციზი 6.4%-ით (45.0 მლნ ლარით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის 5.9 მლნ ლარით შემცირებისა და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის მნიშვნელოვანი, 51.0 მლნ ლარით მატების გავლენით (მ.შ. იმპორტირებული ნავთობპროდუქტებისა და მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრიდან შემოსავალი, შესაბამისად, 18.8 მლნ ლარით და 18.3 მლნ ლარით არის მომატებული).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2025-2026 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების მოცულობა იანვარ-აპრილში 119.5 მლნ ლარია, რაც 6 თვის გეგმის 63.0%-ს და წლიური გეგმის 34.5%-ს შეადგენს. კერძოდ, გრანტების ძირითად ნაწილს (83.0%-ს) ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან, 99.2 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 66.2%) მიღებული შემოსავალი წარმოადგენს, საინვესტიციო გრანტები კი 7.3 მლნ ლარს უტოლდება (6 თვის გეგმის 18.5%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტები, 12.9 მლნ ლარის ოდენობით (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე).

სხვა შემოსავლები 365.9 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 40.8%-ს (წლიური გეგმის 25.2%) შეადგენს. მისი ძირითადი ნაწილი (34.9%) არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (127.9 მლნ ლარის ოდენობით) და საკუთრებიდან (32.1%, 117.5 მლნ ლარის ოდენობით) არის შემოსული. სხვა შემოსავლები, წინა წლის მაჩვენებელს 77.3 მლნ ლარით (26.8%-ით) აღემატება, რაც გაზრდილი ოდენობით, ძირითადად, ჯარიმებიდან, არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან, აგრეთვე, საკუთრებიდან, რენტის სახით მიღებულ შემოსავლებს უკავშირდება.

არაფინანსური აქტივების კლები მუხლით შემოსულობები (70.1 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 68.1%-ს და წლიური გეგმის 35.1%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 47.0 მლნ ლარით (40.2%-ით) ჩამორჩება. აღნიშნული შემოსულობების მნიშვნელოვანი ნაწილი, 71.8% (50.4 მლნ ლარი) ძირითადი აქტივების რეალიზაციიდანაა მიღებული, 28.2% (19.8 მლნ ლარი) - არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან (მ.შ. 16.9 მლნ ლარი - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოვიდა, 2.9 მლნ ლარი - მიწის რეალიზაციიდან).

ფინანსური აქტივების კლები მუხლით (ძირითადად, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 89.0 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 43.1%-ს შეადგენს (წლიური გეგმის 17.8%), წინა წლის მაჩვენებელს კი 65.5 მლნ ლარით (42.4%-ით) ჩამორჩება.


ვალდებულებების ზრდა მუხლით შემოსულობები 1,889.3 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 70.8%-ს (წლიური გეგმის 37.3%) შეადგენს. თანხების ძირითადი ნაწილი საგარეო წყაროდან არის შემოსული, მ.შ. საინვესტიციო კრედიტების სახით - 194.7 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 39.8% (6 თვის გეგმით საბიუჯეტო კრედიტები გათვალისწინებული არ არის). გარდა ამისა, 2026 წელს დასაფარი ევრობონდების რეფინანსირების მიზნით, ახალი ევრობონდების გამოშვებით საგარეო ვალდებულებების აღების შედეგად, ბიუჯეტში მიღებულია 1,331.9 მლნ ლარი (წლიური გეგმის 98.7%). რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობებს, 4 თვეში, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 362.7 მლნ ლარი შეადგინა.

	4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	1,889.3	70.8%	37.3%
საშინაო	362.7	43.6%	20.2%
საგარეო	1,526.6	83.0%	46.8%
ევრობონდები	1,331.9	98.7%	98.7%
საბიუჯეტო კრედიტები	0.0		0.0%
საინვესტიციო კრედიტები	194.7	39.8%	15.3%

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2026 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 9,488.7 მლნ ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი, 74.3%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2024-2025 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ: 2024 წლის იანვარ-აპრილში, ხარჯების წილი გადასახდელებში 79.6%-ს შეადგენდა, ხოლო 2025 წლის იანვარ-აპრილში - 82.6%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2026 წლის იანვარ-აპრილში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 6.5% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 0.7% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 18.5%, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2024-2025 წლებთან შედარებით, გაზრდილია. 2025 წლის იანვარ-აპრილში, ზემოაღნიშნული კომპონენტების წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 11.0%-ის, 1.6%-ის და 4.8%-ის ოდენობებით, ხოლო, 2024 წლის იანვარ-აპრილში - 14.6%-ის, 1.0%-ის და 4.9%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 4 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, ხარჯებმა 7,052.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის გეგმის 62.4% და წლიური გეგმის 30.3%-ია. 6 თვის გეგმასთან მიმართებით, პროცენტის (82.3%), სუბსიდიების (68.1%) და სოციალური უზრუნველყოფის (66.2%) მუხლები შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო შრომის ანაზღაურების (62.4%), სხვა ხარჯების (59.8%), საქონლისა და მომსახურების (53.6%) და გრანტების (34.7%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით განისაზღვრა. ხარჯების მოცულობა, 2025 წლის 4 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 64.3 მლნ ლარით (0.9%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად დაკავშირებულია სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვან (223.8 მლნ ლარით) ზრდასთან.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (724.0 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 477.1 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 246.9 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (3,084.6 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (2,251.3 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (612.7 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (190.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2025-2026 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (615.1 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 38.3%-ს და წლიური გეგმის 15.2%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (253.4 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (103.6 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (96.2 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (69.8 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 29.5%-ს და წლიური გეგმის 10.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები გადანაწილებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე 33.2 მლნ ლარის ოდენობით), ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (11.4 მლნ ლარის ოდენობით), სოფლის მეურნეობის სამინისტროზე (4.4 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (20.7 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (1,750.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება და 6 თვის გეგმის 82.0%-ს და წლიური გეგმის 60.0%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების დაფარვასთან (1,346.7 მლნ ლარის ოდენობით).

	4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,750.9	82.0%	60.0%
საშინაო	10.1	45.6%	25.1%
საგარეო	1,740.9	82.4%	60.5%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 4 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 4 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 09) - 0.7 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო კლინიკების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 0.7 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 61 00) - 0.5 მლნ ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 24) - 23.6 ათასი ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-აპრილში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე 2,473.6 მლნ ლარი მიმართა, 6 თვის გეგმის 82.1% და წლიური გეგმის 52.3%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 155.7 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 52.4 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 103.0 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 0.3 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 190.0 მლნ ლარი მიიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 55.5 მლნ ლარის, 10.6 მლნ ლარის და 1.2 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 7,668.0 მლნ ლარი შეადგინა (6 თვის გეგმის 59.4% და წლიური გეგმის 28.1%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მანკენებლები ფუნქციონალურ ქრილში:


2026 წლის 4 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მანკენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 4 თვის გადასახდელებიდან (9,488.7 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 6,641.3 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 2,847.3 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 30.0%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 6,259.4 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 66.0%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 382.0 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.0%).

2026 წლის 4 თვეში გაწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის იანვარ-აპრილში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 4 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2026 წლის გეგმა	6 თვის გეგმა	4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	130.0	59.1	36.6	62.0%	28.2%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	928.6	390.6	150.6	38.6%	16.2%
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,113.7	1,086.0	511.1	47.1%	16.4%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	443.2	205.6	115.2	56.0%	26.0%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	9,668.6	4,802.9	3,073.8	64.0%	31.8%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	225.0	115.3	75.8	65.8%	33.7%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,890.0	1,003.0	549.4	54.8%	29.1%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,547.0	755.3	460.7	61.0%	29.8%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.2	383.7	204.5	53.3%	25.3%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,702.2	1,349.9	853.3	63.2%	31.6%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	364.8	184.0	87.9	47.8%	24.1%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	325.3	180.8	112.5	62.2%	34.6%
საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	132.9	67.0	28.0	41.7%	21.0%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 36.6 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (130.0 მლნ ლარი) 28.2%-ს და 6 თვის გეგმის (59.1 მლნ ლარი) 62.0%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2026 წლის იანვარ-აპრილში გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, უტოლდება 2024 წლის მაჩვენებელს, ხოლო 2025 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება.




მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 150.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (928.6 მლნ ლარი) 16.2% და 6 თვის გეგმის (390.6 მლნ ლარი) 38.6%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (150.6 მლნ ლარი) 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე ნაკლებია, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 511.1 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (3,113.7 მლნ ლარი) 16.4%-ს და 6 თვის გეგმის (1,086.0 მლნ ლარი) 47.1%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 28.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (132.9 მლნ ლარი) 21.0% და 6 თვის გეგმის (67.0 მლნ ლარი) 41.7%-ია.

რეგიონული განვითარების სამინისტროს და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 115.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (443.2 მლნ ლარი) 26.0%-ს და 6 თვის გეგმის (205.6 მლნ ლარი) 56.0%-ს უტოლდება.

იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში გადასახდელები (115.2 მლნ ლარი), 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება, ხოლო 2024-2025 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია.


2026 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების თითქმის მესამედი (32.4%), 3,073.8 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (9,668.6 მლნ ლარი) 31.8%-ს და 6 თვის გეგმის (4,802.9 მლნ ლარი) 64.0%-ს შეადგენს.

სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (3,073.8 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-აპრილში ათვისებული ასიგნებები 75.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (225.0 მლნ ლარი) 33.7%-ს და 6 თვის გეგმის (115.3 მლნ ლარი) 65.8%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (75.8 მლნ ლარი), 2023-2025 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.


იუსტიციის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 4 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 549.4 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,890.0 მლნ ლარი) 29.1%-ს და 6 თვის გეგმის (1,003.0 მლნ ლარი) 54.8%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2026 წლის იანვარ-აპრილის გადასახდელები (549.4 მლნ ლარი) 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.

თავდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




\*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2026 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 460.7 მლნ ლარი აითვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,547.0 მლნ ლარი) 29.8%-ს და 6 თვის გეგმის (755.3 მლნ ლარი) 61.0%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 4 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (460.7 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




\*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 204.5 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.2 მლნ ლარი) 25.3%-ს და 6 თვის გეგმის (383.7 მლნ ლარი) 53.3%-ს უტოლდება.

მოცემული სამინისტროს, 2026 წლის 4 თვის გადასახდელები (204.5 მლნ ლარი), 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით შემცირებულია, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




\*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 4 თვის მაჩვენებელი 853.3 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (2,702.2 მლნ ლარი) 31.6%-ს და 6 თვის გეგმის (1,349.9 მლნ ლარი) 63.2%-ს შეადგენს.

2026 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (853.3 მლნ ლარი), 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება, ხოლო 2025 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 87.9 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (364.8 მლნ ლარი) 24.1%-ს და 6 თვის გეგმის (184.0 მლნ ლარი) 47.8%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 112.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (325.3 მლნ ლარი) 34.6% და 6 თვის გეგმის (180.8 მლნ ლარი) 62.2%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (200.4 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება. ასევე, სპორტის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (112.5 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (105.1 მლნ ლარს), ხოლო კულტურის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (87.9 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (63.7 მლნ ლარს).

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



\*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 4 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 6 თვის გეგმა*	2026 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 4 თვის ფაქტთან
<b>შემოსულობები</b>	<b>8,693.3</b>	<b>30,759.4</b>	<b>15,132.0</b>	<b>10,023.7</b>	<b>66.2%</b>	<b>32.6%</b>	<b>15.3%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>7,446.5</b>	<b>24,996.3</b>	<b>12,152.8</b>	<b>7,975.3</b>	<b>65.6%</b>	<b>31.9%</b>	<b>7.1%</b>
გადასახადები	7,091.0	23,200.0	11,067.0	7,489.8	67.7%	32.3%	5.6%
საშემოსავლო გადასახადი	2,496.1	8,221.0	4,050.0	2,819.3	69.6%	34.3%	12.9%
მოგების გადასახადი	975.4	3,200.0	1,645.0	1,211.3	73.6%	37.9%	24.2%
დღგ	2,496.2	8,744.0	4,060.0	2,719.8	67.0%	31.1%	9.0%
აქციზი	699.5	2,700.0	1,210.0	744.5	61.5%	27.6%	6.4%
იმპორტის გადასახადი	44.7	150.0	72.0	51.1	70.9%	34.0%	14.1%
სხვა გადასახადები	379.1	185.0	30.0	-56.1	-186.9%	-30.3%	-114.8%
გრანტები	66.9	346.3	189.6	119.5	63.0%	34.5%	78.7%
სხვა შემოსავლები	288.7	1,450.0	896.2	365.9	40.8%	25.2%	26.8%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>117.2</b>	<b>200.0</b>	<b>103.0</b>	<b>70.1</b>	<b>68.1%</b>	<b>35.1%</b>	<b>-40.2%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>154.5</b>	<b>500.0</b>	<b>206.4</b>	<b>89.0</b>	<b>43.1%</b>	<b>17.8%</b>	<b>-42.4%</b>
<b>გაღდებულებების ზრდა</b>	<b>975.1</b>	<b>5,063.1</b>	<b>2,669.9</b>	<b>1,889.3</b>	<b>70.8%</b>	<b>37.3%</b>	<b>93.8%</b>
საშინაო	790.8	1,800.0	831.0	362.7	43.6%	20.2%	-54.1%
საგარეო	184.3	3,263.1	1,838.9	1,526.6	83.0%	46.8%	728.4%
<b>გადასახდელები</b>	<b>8,460.2</b>	<b>30,881.4</b>	<b>15,278.2</b>	<b>9,488.7</b>	<b>62.1%</b>	<b>30.7%</b>	<b>12.2%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>6,988.6</b>	<b>23,267.6</b>	<b>11,299.4</b>	<b>7,052.9</b>	<b>62.4%</b>	<b>30.3%</b>	<b>0.9%</b>
შრომის ანაზღაურება	923.9	3,420.3	1,674.0	1,044.0	62.4%	30.5%	13.0%
საქონელი და მომსახურება	698.7	2,681.5	1,305.3	699.5	53.6%	26.1%	0.1%
პროცენტი	676.2	1,818.0	880.0	724.0	82.3%	39.8%	7.1%
სუბსიდიები	316.7	1,047.3	507.6	345.7	68.1%	33.0%	9.1%
გრანტები	519.1	2,032.4	818.9	284.4	34.7%	14.0%	-45.2%
სოციალური უზრუნველყოფა	2,860.9	9,324.2	4,657.0	3,084.6	66.2%	33.1%	7.8%
სხვა ხარჯები	993.1	2,944.0	1,456.6	870.7	59.8%	29.6%	-12.3%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>927.4</b>	<b>4,044.0</b>	<b>1,607.8</b>	<b>615.1</b>	<b>38.3%</b>	<b>15.2%</b>	<b>-33.7%</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>136.1</b>	<b>650.0</b>	<b>236.6</b>	<b>69.8</b>	<b>29.5%</b>	<b>10.7%</b>	<b>-48.7%</b>
<b>გაღდებულებების კლება</b>	<b>408.2</b>	<b>2,919.8</b>	<b>2,134.4</b>	<b>1,750.9</b>	<b>82.0%</b>	<b>60.0%</b>	<b>328.9%</b>
საშინაო	10.1	40.1	22.1	10.1	45.6%	25.1%	0.1%
საგარეო	398.1	2,879.7	2,112.4	1,740.9	82.4%	60.5%	337.2%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)</b>	<b>233.1</b>	<b>-122.0</b>	<b>-146.1</b>	<b>535.0</b>			

\* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება №30)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 4 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 4 თვის ფაქტთან
<b>შემოსავლები</b>	<b>7,446.5</b>	<b>24,996.3</b>	<b>12,152.8</b>	<b>7,975.3</b>	<b>65.6%</b>	<b>31.9%</b>	<b>7.1%</b>
გადასახადები	7,091.0	23,200.0	11,067.0	7,489.8	67.7%	32.3%	5.6%
გრანტები	66.9	346.3	189.6	119.5	63.0%	34.5%	78.7%
სხვა შემოსავლები	288.7	1,450.0	896.2	365.9	40.8%	25.2%	26.8%
<b>ხარჯები</b>	<b>6,988.6</b>	<b>23,267.6</b>	<b>11,299.4</b>	<b>7,052.9</b>	<b>62.4%</b>	<b>30.3%</b>	<b>0.9%</b>
შრომის ანაზღაურება	923.9	3,420.3	1,674.0	1,044.0	62.4%	30.5%	13.0%
საქონელი და მომსახურება	698.7	2,681.5	1,305.3	699.5	53.6%	26.1%	0.1%
პროცენტი	676.2	1,818.0	880.0	724.0	82.3%	39.8%	7.1%
სუბსიდიები	316.7	1,047.3	507.6	345.7	68.1%	33.0%	9.1%
გრანტები	519.1	2,032.4	818.9	284.4	34.7%	14.0%	-45.2%
სოციალური უზრუნველყოფა	2,860.9	9,324.2	4,657.0	3,084.6	66.2%	33.1%	7.8%
სხვა ხარჯები	993.1	2,944.0	1,456.6	870.7	59.8%	29.6%	-12.3%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>458.0</b>	<b>1,728.7</b>	<b>853.4</b>	<b>922.4</b>	<b>108.1%</b>	<b>53.4%</b>	<b>101.4%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>810.2</b>	<b>3,844.0</b>	<b>1,504.8</b>	<b>545.0</b>	<b>36.2%</b>	<b>14.2%</b>	<b>-32.7%</b>
ზრდა	927.4	4,044.0	1,607.8	615.1	38.3%	15.2%	-33.7%
კლება	117.2	200.0	103.0	70.1	68.1%	35.1%	-40.2%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-352.2</b>	<b>-2,115.3</b>	<b>-651.3</b>	<b>377.4</b>	<b>-57.9%</b>	<b>-17.8%</b>	<b>-207.1%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>214.7</b>	<b>28.0</b>	<b>-115.9</b>	<b>515.8</b>	<b>-445.1%</b>	<b>1839.4%</b>	<b>140.3%</b>
<b>ზრდა</b>	<b>369.1</b>	<b>650.0</b>	<b>236.6</b>	<b>604.8</b>	<b>255.6%</b>	<b>93.0%</b>	<b>63.8%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	233.1	0.0	0.0	535.0			129.6%
სესხები	48.9	632.6	234.2	69.2	29.5%	10.9%	41.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	87.1	17.5	2.5	0.6	23.8%	3.3%	-99.3%
<b>კლება</b>	<b>154.5</b>	<b>622.0</b>	<b>352.5</b>	<b>89.0</b>	<b>25.2%</b>	<b>14.3%</b>	<b>-42.4%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	122.0	146.1	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	154.5	500.0	206.4	83.6	40.5%	16.7%	-45.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	5.3			
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>566.9</b>	<b>2,143.3</b>	<b>535.4</b>	<b>138.4</b>	<b>25.8%</b>	<b>6.5%</b>	<b>-75.6%</b>
<b>ზრდა</b>	<b>975.1</b>	<b>5,063.1</b>	<b>2,669.9</b>	<b>1,889.3</b>	<b>70.8%</b>	<b>37.3%</b>	<b>93.8%</b>
საშინაო	790.8	1,800.0	831.0	362.7	43.6%	20.2%	-54.1%
საგარეო	184.3	3,263.1	1,838.9	1,526.6	83.0%	46.8%	728.4%
<b>კლება</b>	<b>408.2</b>	<b>2,919.8</b>	<b>2,134.4</b>	<b>1,750.9</b>	<b>82.0%</b>	<b>60.0%</b>	<b>328.9%</b>
საშინაო	10.1	40.1	22.1	10.1	45.6%	25.1%	0.1%
საგარეო	398.1	2,879.7	2,112.4	1,740.9	82.4%	60.5%	337.2%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	30,881.4	15,278.2	9,488.7	62.1%	30.7%
01 00	საქართველოს პარლამენტი	91.5	47.3	23.2	48.9%	25.3%
01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებველო საქმიანობა	35.2	17.7	9.1	51.6%	25.9%
01 02	საპარლამენტო ფრაქციების, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფებისა და ოლქების დელეგატების ბიუროების საქმიანობა	12.1	6.1	3.1	51.5%	25.8%
01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	44.2	23.6	10.9	46.3%	24.7%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.5	5.5	2.7	48.5%	25.3%
03 00	სსიპ – საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი	0.9	0.5	0.2	52.1%	26.5%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	30.0	15.8	7.8	49.7%	26.1%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	40.7	21.6	8.2	37.8%	20.1%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	46.2	24.5	12.9	52.6%	27.9%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	35.4	19.0	9.5	50.1%	26.8%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.8	1.0	0.5	49.1%	27.5%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	9.0	4.5	2.9	64.2%	32.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	7.9	4.0	2.0	50.7%	25.9%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	22.3	11.4	7.3	63.8%	32.6%
09 00	საერთო სასამართლოები	180.3	91.8	51.5	56.2%	28.6%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	175.5	89.0	50.9	57.2%	29.0%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.8	2.8	0.6	22.2%	12.7%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	13.0	7.0	2.5	35.4%	19.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.7	0.4	58.6%	28.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.7	0.4	51.8%	27.6%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.8	0.4	54.3%	29.8%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.4	0.7	0.4	55.0%	28.3%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.6	0.4	62.6%	31.4%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.7	0.4	60.1%	31.4%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.3	52.8%	26.7%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.9	0.4	51.0%	27.9%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.9	139.1%	70.2%

